სსიპ კოლეჯი ,,აისი“

დამტკიცებულია სსიპ კოლეჯის ,,აისი“
დირექტორის 2022 წლის 8 ნოემბრის
N02-01-389 ბრძანებით
შევიდა ცვლილება სსიპ კოლეჯის ,,აისი“
დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის
2025 წლის 11 თებერვლის N135253 ბრძანებით

სსიპ კოლეჯის ,,აისი“ შუალედური შეფასების ჩატარების წესი და პირობები

სარჩევი

დოკუმენტის შემუშავების სამართლებრივი საფუძვლები....2
შუალედური შეფასების მიზანი, პერიოდი და ფორმა....2
შეფასების სისტემა....3
შუალედურ შეფასებასთან დაკავშირებული რეგულაციები....4
დუალური პროგრამებისთვის შუალედური შეფასების თავისებურებები....6
დასკვნითი დებულებები....6

სსიპ კოლეჯი ,,აისი“

2022

მუხლი 1. დოკუმენტის შემუშავების სამართლებრივი საფუძვლები

1. დოკუმენტი შემუშავებულია,,პროფესიულისაგანმანათლებლოპროგრამის/მოკლეციკლისსაგანმანათლებლოპროგრამის/პროფესიულიმომზადებისპროგრამის/პროფესიულიგადამზადებისპროგრამისსამუშაოზედაფუძნებულისწავლებისფორმითგანხორციელებისწესისადაპირობებისდამტკიცებისშესახებ“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 9 აგვისტოს N416 დადგენილების შესაბამისად

მუხლი 2. შუალედური შეფასების მიზანი, პერიოდი და ფორმა

1. შუალედური შეფასებისმიზანს წარმოადგენს პროფესიული სტუდენტის მიერ მიღებული ცოდნისა და უნარების დონის დადგენა.
2. შუალედური შეფასების საგანს წარმოადგენს პროფესიული ცოდნა, უნარები/კომპეტენციები, რომლის შინაარსიც ეფუძნება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემადგენელ მოდულებს.
3. შუალედური შეფასების თემატიკა მოიცავსშეფასების მომენტისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემადგენელი მოდულების დასრულებულ სწავლის შედეგებს;
4. შუალედური შეფასება ჩატარდება პროგრამაზესწავლების დაახლოებით შუა პერიოდში, კერძოდ, როცა პროფესიულ სტუდენტსგავლილი ექნება მოდულების შესაბამისი სწავლის შედეგების არანაკლებ 40% და არაუმეტეს 60%შუალდური

შეფასების თარიღი და დრო განისაზღვრება კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალურიადმინისტარციულ-სამართლებრივი აქტით.

5. შუალედური შეფასების ფარგლებში გამოიყენება დიფერენცირებული(ქულობრივი) ან/და არადიფერენცირებული (დადასტურდა/ვერ დადასტურდა) შეფასებაპროფესიული განათლების მასწავლებლის შეხედულებისამებრ;
6. შუალედური შეფასების განხორციელებისას პროფესიული სტუდენტის შეფასება ხდება წინასწარ შემუშავებული შეფასების რუბრიკით/სქემით, რაც გულისხმობს კომენტარს/უკუკავშირს - რა შეუძლია და რა უნდა გააუმჯობესოს სტუდენტმა.
7. შეფასება შესაძლებელია განხორციელდესკომპლექსური პრაქტიკული დავალების, დასრულებული ან მიმდინარე პროექტის ანპორტფოლიოს პრეზენტაციის სახით.
8. შუალედური შეფასება არის სავალდებულო და შუალედურ შეფასებაში მონაწილეობის გარეშე დაუშვებელია საკვალიფიკაციო გამოცდაზე პირის დაშვება.

მუხლი 3. შეფასების სისტემა

1. შუალედური შეფასება შეესაბამება პროფესიულ განათლებაშიდადგენილი შეფასების სისტემის ზოგად მახასიათებლებს: ვალიდურობა, სანდოობა,გამჭვირვალობა, მოქნილობა, სამართლიანობა და ობიექტურობა. რაც უზრუნველყოფს შუალედური შეფასების, როგორც მნიშვნელოვანი პროცესისხარისხის უზრუნველყოფას, შეფასების სისტემის მახასიათებლების გამოყენებით.
2. შეფასების სისტემა სამ ელემენტს აერთიანებს: **შეფასების ინსტრუმენტი, შეფასების პროცესი და შეფასების მტკიცებულება.**

✓ შეფასების სისტემა ვალიდურია, თუ გამოყენებული შეფასებისინსტრუმენტი ადეკვეტურია იმ სწავლის შედეგების დადასტურებისათვის რომელსაცეფუძნება შუალედური შეფასება;ვალიდურობა არკვევს არის თუ არა შეფასება, მიზნის შესაბამისი; მაგალითად, პრაქტიკული უნარების შესაფასებლად გამოყენებული უნდა იქნას ისეთი ინსტრუმენტები, რომლებიც პროფესიული სტუდენტისაგან გარკვეული სამუშაოს შესრულებას მოითხოვენ.

✓ შეფასების სისტემა სანდოა, თუ განხორციელებული შეფასების შედეგებიგამყარებულია სათანადო მტკიცებულებებით. სანდოობა უზრუნველყოფილი უნდაიყოს პროფესიული სტუდენტის ნაშრომით ან/და შეფასების კომისიის ჩანაწერების ფურცლით (ე.წ. ჩეკლისტი);სანდოობის პრინციპი დაცულია, თუ შეფასების შედეგები ერთნაირი იქნება სხვადასხვა შემფასებლის მიერ

სტუდენტის შეფასებისას. ამისათვის მნიშვნელოვანია ერთნაირი შეფასების კრიტერიუმების გამოყენება.

- ✓ შეფასების სისტემა გამჭვირვალეა, თუ შეფასების პროცესი დადადასტურების პირობები, მოთხოვნები, ასევე, შუალედური შეფასების შესახებ სხვასაჭირო ინფორმაცია, წინასწარ არის ცნობილი ყველა შესაფასებელი პირისათვის;შეფასება გამჭვირვალე ანუ ღიაა იმ შემთხვევაში, როდესაც შეფასების მექანიზმები და კრიტერიუმები წინასწარ არის სტუდენტებისათვის ცნობილი;
- ✓ შეფასების სისტემა მოქნილია, თუ შეფასებისას გათვალისწინებულია შესაფასებელი პირის ინდივიდუალური შესაძლებლობები და საჭიროებები,ასევე გათვალისწინებული უნდა იქნეს სხვადასხვა შესაძლო გარემოებები, თუმცა მოქნილი მიდგომის საფუძველზე რომელიმე შესაფასებლისათვის რაიმე პრივილეგიის მინიჭება გამორიცხულია.
- ✓ შეფასების სისტემა სამათლიანია, როდესაც ის დაფუძნებულია მკაფიოდ ჩამოყალიბებულ, სამართლიან, ამომწურავ და სტუდენტისათვის წინასწარ ცნობილ კრიტერიუმებსა და პროცედურებს. შესასრულებელი დავალების სირთულე, შეფასების სხვა პირობები, როგორიცაა გარემო, სადაც ხდება შეფასება, ამისათვის გამოყოფილი დრო, და სხვა ფაქტორები, რაც შესაფასებლის ფსიქოლოგიურ განწყობაზე შეიძლება მოქმედებდეს, ერთნაირი უნდა იყოს მონაწილესათვის.
- ✓ შეფასების სისტემა ობიექტურია, თუ შეფასების პროცესის უმთავრეს პირობას მიუკერძოებლობა წარმოადგენს, რასაც უმეტეს წილად უზრუნველყოფს მრავალფეროვანი კომისია.

3. გარდა ზემოთ აღნიშნული უმთავრესი მახასიათებლებისა, კოლეჯი ითვალისწინებს ეკონომიურობის პრინციპსაც, რაც გულისხმობს რესურსის ნაკლები დანახარჯით ქმედების განხორციელებას, გადაწყვეტილების მიღებასა თუ მომსახურების მიწოდებას, ისე, რომ შენარჩუნებულ იქნეს ხარისხი.

მუხლი 4. შუალედურ შეფასებასთან დაკავშირებული რეგულაციები

1. შუალედური საკითხების შემუშავება ხდება შეფასების მომენტისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/პროგრამებისშემადგენელი მოდულების დასრულებული სწავლის შედეგებს მიხედვით;
2. შუალედური შეფასების საკითხები უნდა მოიცავდეს:

ა) დავალების/დავალებების აღწერას/პირობებს;
ბ) დავალების შესრულების დროს;
გ) შეფასების კრიტერიუმებს;

3. საკითხების შემუშავება ხდება წინასწარ კოლეჯის პროფესიული განათლების მასწავლებლების მიერ შუალედური შეფასების დადგომამდე არაუგვიანეს 5 სამუშაო დღით ადრე რომელიც თახმდება სასწავლო პროცესის მენეჯერთან/მენეჯერებთან.
4. შეფასების ხანგრძლივობისა და შესვენების შესახებ დაზუსტებული ინფორმაცია პროფესიულ სტუდენტებს მიეწოდებათ შეფასების ჩატარებამდე 3 დღით ადრე შესაბამისი პროფესიული განათლების მასწავლებლის/მასწავლებლების მიერ კომუნიკაციის სხვადასხვა საშუალებების გამოყენებით.(სატელოფონო კომუნიკაცია, პირისპირ კომუნიკაციის და სხვა ფომებით).
5. დროის ამოწურვის შემდეგ პროფესიულმა სტუდენტმა უნდა ჩააბაროს ნამუშევარი/ნამუშევრები მიუხედავად იმისა მოასწრო თუ არა მან ყველა კითხვაზე პასუხის გაცემა;
6. შუალედური შეფასების კომისია განისაზღვრება მინიმუმ სამიწევრით,(ინტერესთა მეთოდის გამორიცხვით) რომელიც იქმნება კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.
7. კომისიის წევრები შესაძლოა იყვნენ:

ა) შესაბამისი დარგის პროფესიული განათლების მასწავლებელი(მინიმუმ ერთი წევრი);

ბ)პარტნიორი ორგანიზაციების და დარგობრივი ასოციაციების ან/დადარგის ექსპერტების/ ან/და განათლების ექსპერტების ან/და სხვა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულებების წარმომადგენლები.

გ)და სხვა

8. შუალედური შეფასების კომისიის წევრები დამოუკიდებლად აფასებენ პროფესულ სტუდენტებს;შუალედური შეფასების შედეგების ასახვა კომისიის წევრების მიერ განხორციელდება სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში. ელექტრონული პლატფორმის გამართვამდე კი კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით წინანსწარ დამტკიცებული ფორმის/ფორმების მიხედვით.
9. შუალედური შეფასების შესახებ პროფესიულ სტუდენტებს ეცნობება წინასწარ შეფასების თარიღის დადგომამდე ერთი თვით ადრე, შესაბამისი პროფესიული განათლების მასწავლებლის/მასწავლებლების მიერ კომუნიკაციის სხვადასხვა საშუალებების გამოყენებით.
10. პროფესიულ სტუდენტი ვალდებულია შუალედური შეფასების გაცდენის შემთხვევაში განცხადებით მიმართოს დირექტორს და წარადგინოს დოკუმენტი, რომელიც დაადასტურებს შუალედურ შეფასებაზე არ გამოცხადების საპატიო მიზეზს,(მაგ.: ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება, ოჯახის წევრის გარდაცვალება და სხვა). შეფასებიდან

არაუგვიანეს 5 სამუშაო დღის ვადაში, რათა მოხდეს განხილვა გაცდენის საპატიოდ ჩათვლის შესახებ.

11. წარმოდგენილ დოკუმენტაციას განიხილავს დირექტორი ან დირექტორის ბრძანებით შექმნილი სპეციალური კომისია,რომელიცადგენს პროფესიული სტუდენტის განმეორებით შულედურ შესაფეზაზე გასვლის უფლებას;
12. შუალედურ შეფასებაზე არადამაკმაყოფილებელი შეფასების შემთხვევაში, პროფესიულ სტუდენტს აქვს უფლება ერთჯერ გავიდეს განმეორებით შუალედურ შეფასებაზე რისთვისაც განცხადებით მიმართავს დირექტორს. რომელიც საჭიროების შემთხვევაში ქმნის დამატებით კომისიას, და ადგენს განმეორებითი შუალედური შეფასებისპირობებს (დროს,კომისიის წევრების რაოდენობას და სხვა);
13. შუალედური შეფასების შედეგები პროფესიულ სტუდენტს ეცნობება, შეფასების ჩატარებიდან არაუგვიანეს 3 სამუშაო დღის განმავლობაში.
14. პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს შუალედური შეფასების შედეგები მისი გაცნობიდან 3სამუშაო დღის ვადაში გაასაჩივროს წერილობითი განცხადების ფორმით კოლეჯში;
15. საჩივრის განხილვის მიზნით კოლეჯის დირექტორი ქმნის კომისიას (მინიმუმ 3 წევრისგან).
16. კოლეჯი ვალდებულია 10 სამუშაო დღის ვადაში განიხილოს საჩივარი და მიღებული დასაბუთებული გადაწყვეტილების თაობაზე აცნობოს საჩივრის ავტორს; კომისიას უფლება აქვს ხელახლა შეაფასოს ნამუშევარი.
17. კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

მუხლი 5. დუალური პროგრამებისთვის შუალედური შეფასების ჩატარების წესი.

1.შუალედური შეფასების მიზანია სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შეფასება, რომელიც ტარდება პროგრამის განხორციელების არანაკლებ 40% და არაუმეტეს 60% ეტაპზე და რომლის თემატიკა ეხება მხოლოდ შუალედური შეფასების ჩატარებამდე მიღწეულ სწავლის შედეგებს.

2. შუალედურ შეფასებაზე დაშვებისწინაპირობას წარმოადგენს პროფესიული სტუდენტის მიერ სრულფასოვნადშევსებული და ინსტრუქტორის/ინსტრუქტორების მიერ დამოწმებული „პროფესიული სტუდენტის ჩანაწერების ჟურნალი“.
3. პროგრამის განხორციელებისას, პროფესიული სტუდენტი აწარმოებს ჩანაწერების ჟურნალს, სადაც აღირიცხება პროფესიული სტუდენტის მიერ განხორციელებული აქტივობები სასწავლო საწარმოში მისაღწევი, პროგრამით გათვალისწინებული დარგობრივი სწავლის შედეგების ნაწილში.

4. სასწავლო საწარმოს ინსტრუქტორი სასწავლო პროცესის მიმდინარეობის დროს, თვეში არანაკლებ ერთხელ, ამოწმებს ჩანაწერების ჟურნალში ჩანაწერების სისრულესა და მართებულობას.
5. სასწავლო საწარმოს ინსტრუქტორი შუალედური შეფასების ჩატარებამდე, ასევე პროგრამის განხორციელების ადგილის ცვლილებამდე არაუგვიანეს 5 სამუშაო დღისა, ჩანაწრების ჟურნალში არსებული ჩანაწერების შეფასების საფუძველზე ადასტურებს პროფესიული სტუდენტის მიერ სწავლის შედეგების მიღწევას.
6. სრულფასოვნად შევსებული ჩანაწერების ჟურნალი წარმოადგენს შუალედური შეფასებისა და საკვალიფიკაციო გამოცდაზე დაშვების წინაპირობას.
7. ჩანაწერების ჟურნალი წარმოადგენს პროფესიული სტუდენტის მიერ სწავლის შედეგების მიღწევის მტკიცებულებას, მოდულით განსაზღვრულ სხვა მტკიცებულებებთან ერთად.
8. შუალედური შეფასების კომისია განისაზღვრება მინიმუმ სამი წევრით,(ინტერესთა მეთოდის გამორიცხვით) რომელიც იქმნება კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.
9. კომისიის წევრები შესაძლოა იყვნენ:
   ა) შესაბამისი დარგის პროფესიული განათლების მასწავლებელი(მინიმუმ ერთი წევრი);
   ბ)პარტნიორი ორგანიზაციების და დარგობრივი ასოციაციების ან/დადარგის ექსპერტების/ ან/და განათლების ექსპერტების ან/და სხვა პროფესიულისაგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულებებისწარმომადგენლები.
   გ)და სხვა
10. შუალედური შეფასების კომისიის წევრები დამოუკიდებლად აფასებენ პროფესულ სტუდენტებს;შუალედური შეფასების შედეგების ასახვა კომისიის წევრების მიერგანხორციელდება სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში. ელექტრონული პლატფორმის გამართვამდე კი კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტითწინანსწარ დამტკიცებული ფორმის/ფორმების მიხედვით.
11. შუალედური შეფასების შესახებ პროფესიულ სტუდენტებს ეცნობება წინასწარ შეფასების თარიღის დადგომამდე ერთი თვითადრე, შესაბამისი პროფესიული განათლების მასწავლებლის/მასწავლებლების მიერ კომუნიკაციის სხვადასხვა საშუალებების გამოყენებით.
12. პროფესიულ სტუდენტი ვალდებულია შუალედური შეფასების გაცდენის შემთხვევაში განცხადებით მიმართოს დირექტორს და წარადგინოს დოკუმენტი, რომელიც დაადასტურებს შუალედურ შეფასებაზე არ გამოცხადების საპატიო მიზეზს,(მაგ.: ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება, ოჯახის წევრის გარდაცვალება და სხვა). შეფასებიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღის ვადაში,

რათა მოხდეს განხილვა გაცდენის საპატიოდ ჩათვლის შესახებ.

13. წარმოდგენილ დოკუმენტაციას განიხილავს დირექტორი ან დირექტორის ბრძანებით შექმნილი სპეციალური კომისია,რომელიცადგენს პროფესიული სტუდენტის განმეორებით შულედურ შესაფებაზე გასვლის უფლებას;
14. შუალედური შეფასების შედეგები პროფესიულ სტუდენტს ეცნობება, შეფასების ჩატარებიდან არაუგვიანეს 3 სამუშაო დღის განმავლობაში.
15. პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს შუალედური შეფასების შედეგები მისი გაცნობიდან 3სამუშაო დღის ვადაში გაასაჩივროს წერილობითი განცხადების ფორმით კოლეჯში;
16. საჩივრის განხილვის მიზნით კოლეჯის დირექტორი ქმნის კომისიას (მინიმუმ 3 წევრისგან).
17. კოლეჯი ვალდებულია 10 სამუშაო დღის ვადაში განიხილოს საჩივარი და მიღებული დასაბუთებული გადაწყვეტილების თაობაზე აცნობოს საჩივრის ავტორს; კომისიას უფლება აქვს ხელახლა შეაფასოს ნამუშევარი.
18. კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

მუხლი 6. დასკვნითიდებულებები

1. აღნიშნულ წესს ამტკიცებს კოლეჯის დირექტორი იდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

2. აღნიშნულ წესში ცვლილებებსან/დადამატებას ამტკიცებს კოლეჯის დირექტორი იდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.